ქართული ღვინო

ღვინის ეროვნული სააგენტო

ანგარიში

2019 წელი, მესამე კვარტალი

შესავალი ..... 2 გვ.

რთველი 2019 ..... 2გვ

ქართული ღვინის პოპულარიზაცია ..... 3 გვ.

ექსპორტი ..... 5 გვ.

ვენახების კადასტრი..... 6 გვ

ქართული ვაზის კულტურის კვლევა..... 6 გვ.

ხარისხის კონტროლი და სერტიფიცირება..... 7 გვ.

მარშალ გელოვანის 6, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. www.georgianwine.gov.ge

E: info.georgianwine@georgianwine.gov.ge

შესავალი

სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ძირითადი მიმართულება საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარების ხელშეწყობაა.

2019 წლის მესამე კვარტლის ძირითადი საქმიანობა მოიცავდა შემდეგ მიმართულებებს:

- რთველი 2019-ს ორგანიზება;
- ქართული ღვინის საექსპორტო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობა და პოპულარიზაცია;
- ღვინის წარმოების ხარისხის კონტროლი და სერტიფიცირება;
- მევენახეობის კადასტრის პროგრამის განხორციელება;
- ქართული ღვინის კულტურის კვლევა;

რთველი - 2019

რთველი 2019-ის საკოორდინაციო შტაბმა ქალაქ თელავში მუშაობა 15 აგვისტოდან დაიწყო. რთველის დაწყებას წინ უძღოდა რამდენიმე შეხვედრა ღვინის მწარმოებელ კომპანიებთან და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, რათა რთველის პროცესი წარმართულიყო ორგანიზებულად და შეფერხებების გარეშე.

საანგარიშო პერიოდში ყურძნის გადამუშავების პროცესში ჩართული იყო 245 ღვინის კომპანია, რთველის საკოორდინაციო შტაბში სულ დარეგისტრირებული იყო 390 კომპანია. რთველის პიკურ ფაზაში დღეღამური გადამუშავება აღწევდა 12 ათასს ტონას, რაც ბოლო 30 წლის რეკორდული მაჩვენებელია.

1 ოქტომბრის მდგომარეობით, კახეთის რეგიონში 213 ათასი ტონა ყურძენია გადამუშავებული: 135 ათასი ტონა რქაწითელი, 78 ათასი ტონა საფერავი, 5 ათასი ტონა კახური მწვანე და დანარჩენი სხვადასხვა ჯიშის ყურძენია.

საანგარიშო პერიოდისთვის კახეთში ღვინის საწარმოებს მოსავალი 20 ათასამდე მევენახემ ჩააბარა.

ქართული ღვინის პოპულარიზაცია

მიმდინარე წლის მესამე კვარტალში ქართული ღვინის პოპულარიზაციის მიზნით აღსანიშნავია შემდეგი ღონისძიებები:

„ქართული ღვინის აზიის ტური

ქართული ღვინის საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციის მიზნით, 18 ივლისს ჰონგ-კონგში ქართული ღვინის წარდგენა ადგილობრივი პრემიუმ-კლასის რესტორნებისა და ღვინის შემსყიდველებისთვის გაიმართა. ღონისძიება „ქართული ღვინის აზიის ტურის“ ფარგლებში მოეწყო და მას ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანიის „Meiburg Wine Media”-ის დირექტორი, ღვინის მაგისტრი დებრა მეიბურგი უძღვებოდა. ჰონგ-კონგში გამართულ ღონისძიებაზე აქცენტი ქართული ღვინის აზიურ სამზარეულოსთან შეხამებაზე გაკეთდა.

ქართული ქარვისფერი ღვინოები კორეაში წარადგინეს

21-24 აგვისტოს კორეის რესპუბლიკის ქალაქ დეჯონში ქარვისფერი ღვინოების სპეციალური დეგუსტაცია გაიმართა, სადაც საქართველო, ღვინის ეროვნული სააგენტოს სადეგუსტაციო კომისიის თავმჯდომარემ, ანა გოდაბრელიძემ წარმოადგინა. ღონისძიებას, სადაც 12 ქარვისფერი ღვინო საქართველოდან და მსოფლიოს კიდევ რამდენიმე ქვეყნიდან იყო წარმოდგენილი, მსოფლიოში ცნობილი ღვინის მწერლები, იმპორტიორები და სომელიები, სულ 100-მდე ღვინის პროფესიონალი დაესწრო. აღნიშნული დეგუსტაცია დეჯონში გამართული ღვინის კონკურსის „აზია ვაინ ტროფის“ (Asia Wine

Trophy) ფარგლებში ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით ჩატარდა. ვაზისა და ღვინის მსოფლიო ორგანიზაციის (OIV) პატრონაჟით, „Asia Wine Trophy“ მეშვიდედ გაიმართა და ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ ღვინის კონკურსად ითვლება.

ქართული ქვევრის პრეზენტაცია პოლონეთში გაიმართა

2 სექტემბერს პოლონეთში გამართულ მასშტაბურ ფოლკლორულ ფესტივალზე „Pannonica folk festival 2019“ ქართული ქვევრის პრეზენტაცია მოეწყო. პროექტის მიზანია ქვევრის დამზადებისა და მის გამოყენების სრული ციკლის წარმოჩენა და პოპულარიზაცია. ფესტივალზე ფილმის - “დამზადებულია ქვევრში” ჩვენება გაიმართა, რომელშიც მოთხრობილია ქართული ღვინის კულტურისა და ქვევრის დამზადების ტექნოლოგიის შესახებ. ფესტივალმა ასევე უმასპინძლა სემინარებს ქართული ღვინის შესახებ, რომელსაც ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი კომპანია „ვინისფერას“ ხელმძღვანელი მარიუს კაპჩინსკი უძღვებოდა.

ბრიტანელი ღვინის პროფესიონალების შეფასებით, ქართული ღვინო უნიკალურია

24-28 სექტემბერს საქართველოს ბრიტანელი ღვინის პროფესიონალების 11-კაციანი ჯგუფი სტუმრობდა, რომლის შემადგენლობაში სომელიეები, ღვინის იმპორტიორები და მედიის წარმომადგენლები შედიოდნენ. ვიზიტი ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის Swirl Wine Group-ის ორგანიზებით განხორციელდა. ტურის ფარგლებში სტუმრები ქართული ღვინის მწარმოებელ კომპანიებს ქართლსა და კახეთში ეწვივნენ და ადგილზე დააგემოვნეს სხვადასხვა სტილის ქართული ღვინოები. ამასთან ერთად, თბილისში ჩატარდა დეგუსტაცია, სადაც ღვინის მწარმოებელ 27 კომპანიას შესაძლებლობა მიეცა საკუთარი პროდუქცია ღვინის პროფესიონალებისთვის წარედგინა. ბრიტანელი პროფესიონალების შეფასებით, საქართველო გამოირჩევა მეღვინეობის მდიდარი ისტორიით, ვაზის ჯიშების მრავალფეროვნებით, ღვინის დაყენების ტრადიციებითა და უნიკალური ღვინოებით.

ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების ექსპორტი

2019 წლის 9 თვის მონაცემებით საქართველოდან მსოფლიოს 2019 წლის 9 თვეში საქართველოდან მსოფლიოს 50 ქვეყანაში 65,2 მლნ-მდე ბოთლი (0,75 ლ) ღვინოა ექსპორტირებული, რაც 2018 წლის ამავე მაჩვენებელს 10%-ით აღემატება. ექსპორტირებული ღვინის ღირებულება 164 მლნ აშშ დოლარს აღწევს, რაც 2018 წლის ანალოგიურ მონაცემზე 16%-ით მეტია.

ექსპორტი გაიზარდა ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზრებზე: აშშ - 60% (533206 ბოთლი), დიდი ბრიტანეთი - 40% (93067), პოლონეთი - 18% (2905372) და ჩინეთი - 11% (5334939). ზრდა აღსანიშნავია ასევე შემდეგ ქვეყნებში: ლიეტუვა - 52% (503832), მონღოლეთი - 13% (184212), ბელარუსი - 35% (1606565), ისრაელი - 88% (218921), გერმანია - 36% (476145), ესტონეთი - 19% (499736), რუსეთი - 11% (41112235), მოლდოვა - 5717% (411812), ნიდერლანდები - 21% (73078), ჩეხეთი 102% - (62700), შვედეთი - 397% (55506), ბულგარეთი - 51% (24228), ავსტრალია - 15% (19636), კანადა - 2% (121650) და ა.შ.

ექსპორტიორი ქვეყნების ათეულია: რუსეთი (41112235), უკრაინა (6766841), ჩინეთი (5334939), პოლონეთი (2905372), ყაზახეთი (2477358), ბელარუსი (1606565), ლატვია (988122), აშშ (533206), ლიეტუვა (503832) და ესტონეთი (499736).

9 თვის მონაცემებით, სხვადასხვა მოცულობის ღვინის ექსპორტი 289-მა კომპანიამ განახორციელა.

ამასთან, მსოფლიოს 23 ქვეყანაში ექსპორტირებულია 19,5 მლნ ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც 44%-ით აღემატება 2018 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ბრენდის ექსპორტით მიღებულმა შემოსავალმა 42,5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (ზრდა 54%). მსოფლიოს 24 ქვეყანაში ექსპორტირებულია 473,2 ათასი ბოთლი (0,5 ლ) ჭაჭა, ექსპორტის ზრდამ 65% შეადგინა. ჭაჭის ექსპორტით მიღებული შემოსავალი 1,3 მლნ აშშ დოლარს აღწევს (ზრდა 54%).

მთლიანად ღვინის, ბრენდი, ჭაჭის, საბრენდე სპირტისა და ჩამოსასხმელი ბრენდის ექსპორტის შედეგად მიღებულია 236 მლნ აშშ დოლარი, რაც 6%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს.

ვენახების კადასტრის პროგრამა

2019 წელს ღვინის ეროვნულმა სააგენტომ გააგრძელა ვენახების კადასტრის პროგრამის განხორციელება გურჯაანისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტში. ვენახების კადასტრის პროგრამა წარმოაჩენს ვენახებისა და ღვინის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მდგომარეობას. პროგრამა მოიცავს: ორთოფოტოების გადაღებას, საკადასტრო რუკების მომზადებას, ვენახების იდენტიფიკაციას და ვექტორიზაციას, ინფორმაციის შეკრებას ვენახებისა და მევენახეების შესახებ.

2019 წლის მესამე კვარტალში რთველის პროცესში 3200 მევენახეს გურჯაანისა და ყვარლის მინიციპალიტეტში, შესაძლებლობა მიეცა კადასტრის ამონაწერის საფუძველზე ჩაებარებინა საფერავის ჯიშის ყურძენი. 2019 წლის რთველის დროს „ქინძმარაულის“, „ახაშენის“, „ყვარლის“ და „მუკუზნის“ მიკროზონების ყურძნის ჩაბარება მხოლოდ ვენახების კადასტრის ამონაწერის საფუძველზე ხდებოდა.

ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევის პროექტი

2019 წლის მესამე კვარტალში შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

2018 წელს ნეოლითური პერიოდის ძეგლების „გადაჭრილი გორისა“ და „შულავერის გორის“ გათხრების დროს აღმოჩენილი კარბონიზირებული მცენარეული ნაშთების 2 ნიმუში დათარიღდა ძვ. წ. 5980-5750 წლებით; 2. არქეოლოგიური ძეგლიდან „ჯოხთნიხევი“აღებული ვაზის წიპწების 1 ნიმუში, საქართველოში მოპოვებული ვაზის წიპწების ქრონოლოგიის აღდგენისათვის, დათარიღდა ჩვ. წ. მე-15-17 საუკუნეებით. რვა არქეოლოგიური ნიმუში, მცენარეული ნაშთები წიპწებისა და მერქნის სახით, გაიგზავნა ისრაელში, ვეისმანის ინსტიტუტის D-REAMS ლაბორატორიაში C14 მეთოდით დათარიღებისათვის. განხორციელდა ველური ვაზის ნიმუშების შეგროვება ბუნებაში

მათი მომავალი გამრავლებისა და კოლექციაში დამაგრების მიზნით. ისრაელის ვეისმანის ინსტიტუტის D-REAMS ლაბორატორიაში განხორციელდა არქეოლოგიური მასალის ათი ნიმუშის C14 მეთოდით დათარიღება. მათ შორისაა: 1) 2018 წელს ნეოლითური პერიოდის ძეგლის „შულავერის გორის“ გათხრების დროს აღმოჩენილი კარბონიზირებული მცენარეული ნაშთების 3 ნიმუში - ნიმუშები დათარიღდა ძვ. წ. 6005-5720 წლებით; 2) სხვადასხვა არქეოლოგიური ძეგლებიდან „რუსთავი“ (ქალაქ რუსთავის ტერიტორია), „მცხეთის ჯვარი“ (ქალაქი მცხეთა) და „ნორიო“ (სოფ. ნორიო) აღებული ვაზის წიპწების 5 ნიმუში საქართველოში მოპოვებული ვაზის წიპწების ქრონოლოგიის აღდგენისათვის - ეს ნიმუში დათარიღდა ძვ. წ. 545 - ახ. წ. მე-19 საუკუნეებით.

• საქართველოს ეროვნული მუზეუმის მიერ ტორონტოს უნივერსიტეტის არქეოლოგებთან თანამშრომლობით, არქეოლოგიური გათხრები განხორციელდა მარნეულის რაიონში მდებარე „შულავერის კულტურის“ (ძვ. წ. 6000 წელი) ნეოლითურ ნასახლარებზე სახელწოდებით „გადაჭრილი გორა“, „შულავერის გორა“ და „იმირის გორა“, მევენახეობა - მეღვინეობასთან დაკავშირებულ არქეოლოგიური მასალის მოპოვებისა და შემდგომი შესწავლის მიზნით.

ღვინის წარმოების ხარისხის კონტროლი და სერტიფიცირება

ლაბორატორიული შემოწმება

ღვინის ეროვნული სააგენტოს სადეგუსტაციო კომისიამ ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელების ორგანოლეპტიკური ტესტირების მიზნით, მესამე კვარტალში ჩატარდა 65 დეგუსტაცია, შემოვიდა სულ 2638 ნიმუში საიდანაც 199 შეფასდა უარყოფითად და 2439 შეფასდა დადებითად

სერტიფიცირება

საექსპორტო დოკუმენტაციის მისაღებად სერტიფიცირებაზე შემოვიდა სულ - 2445 განაცხადი:

შემოსული განაცხადების საფუძველზე გაიცა სხვადასხვა დანიშნულების დოკუმენტაცია:

- VI-1 ფორმის სერტიფიკატი /ევროგაერთიანების ქვეყნებისათვის/ - 1401 ცალი;
- შესაბამისობის სერტიფიკატი - 2157 ცალი;

სხვადასხვა ალკოჰოლიანი სასმელების მწარმოებელ კომანიაზე ღვინის ეროვნული სააგენტოს სერტიფიცირების სამმართველოს მიერ გაცემულია სულ - 3558 სერტიფიკატი.

სახელმწიფო კონტროლი და ინსპექტირება

1 ოქტომბრის მდგომარეობით, წლის განმავლობაში ღვინის ლაბორატორიული კვლევის ფარგლებში ალკოჰოლური სასმელების კომპანიებში განხორციელდა 100 საინსპექციო კონტროლი, საიდანაც აღებული 500 ნიმუშიდან, სერტიფიკატის გაცემაზე უარი 18 შემთხვევაში ეთქვა კომპანიას. ამასთან ერთად, სახელმწიფო კონტროლისა და სახელმწიფო ზედახმედველობის ფარგლებში შემოწმება ჩატარდა 32 კომპანიაში, საიდანაც აღებულ იყო 1200-მდე ნიმუში, 7 კომპანიაში აღმოჩენილ იყო გარკვეული სახის დარღვევები, რაზეც განხორციელდა კანონით განსაზღვრული მოქმედებები. ყველა დანარჩენი აღებული ნიმუში შეესაბამებოდა დადგენილ მოთხოვნებს

ღვინის ეროვნულ სააგენტოს მიერ განხორციელებული საქმიანობა აქტიურად შუქდება ბეჭდურ, ელექტრონულ, სოციალურ და სატელევიზიო მედიაში (http://wine.gov.ge/, https://www.facebook.com/Wines.of.Georgia/, https://www.facebook.com/nationalwineagency/, https://twitter.com/Georgian_wine, https://www.youtube.com/channel/UC0CPwXo8f7-QA329kmicFwQ)